ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1929809

ნომერი: AR1314201

თარიღი : 30.05.2015

გაცემის თარიღი : 03.06.2015

გაცნობის თარიღი : 03.06.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქავთარაძე , N 16 , სამკურნალო კომბინატის მიმდებარე , (ნაკვ. 39/27) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი თოხაძე პ/ნ 01009018465
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კორ. 8 ბ. 25

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სავაჭრო ობიექტები
  - მაღაზია

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი წერილის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ქავთარაძეს ქ. #16–ში, სამკურნალო კომბინატის მიმდებარედ, საკადასტრო გეგმით #01.14.03.039.027 მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა–ნაგებობის (მაღაზია) სარეკონსტრუქციოდ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას გაცნობებთ, რომ დასაშვებია არსებული შენობა–ნაგებობის (მაღაზია) რეკონსტრუქცია იერსახის მოწესრიგების მიზნით მხოლოდ არსებული გაბარიტების უცვლელად.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (I სტადია - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება; II სტადია - არქიტექტურული პროექტის შეთანხმება; III სტადია - მშენებლობის ნებართვის გაცემა). მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

აღნიშნული სამშენებლო სამუშაოები არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების (I სტადია) გაცემას და უნდა მიმართოთ I და II კალასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილებას. www.tas.ge –ზე შეავსეთ შესაბამისი ველები და ატვირთოთ საჭირო დოკუმენტაცია.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ არსებული შენობა–ნაგებობა სცდება დადგენილ საკადასტრო საზღვრებს, მასზე სამშენებო სამუშაოების ჩატარება ვერ განხორციელდება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.